



E - GOVERNMENT . GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #14

მაისი, 2012

გამოშვებაში წაიკითხავთ

- 1** ყველა ელექტრონული სერვისი ერთ პორტალზე - **MY.GOV.GE**
- 2** “კომპიუტერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება” დაფუძნდა
- 3** **NATO**-ს ტრენინგ კურსი თურქეთში
- 3** **ID** ბარათის ციფრული ხელმოწერის პრეზენტაცია
- 4** **CERT.GOV.GE** **CERT** - ების ევროპული გაერთიანების **„TRUSTEDINTRO DUCER“**-ის აკრედიტებული წევრი გახდა
- 4** შეხვედრები სოფლის მოსახლეობასთან
- 4** საატესტატო გამოცდები **ONLINE** რეჟიმში
- 5** ტრენინგები ინფორმაციულ უსაფრთხოებაში

ყველა ელექტრონული სერვისი ერთ პორტალზე - MY.GOV.GE



საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ სასტუმროში „ქორთიარდ მარიოტი“ ამავე სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ შემუშავებული მოქალაქის პორტალის **MY.GOV.GE** პრეზენტაცია გამართა. უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის პროცედურების

გამარტივება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოიყენება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემები, რომელებიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს სახლიდან თუ სამუშაო ადგილიდან გაუსვლელად დისტანციურად ისარგებლოს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების მომსახურებით.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო აქტიურად მუშაობდა Microsoft-სა და HP-სთან ერთად მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში არსებული მონაცემების ურთიერთგაცვლის თანამედროვე მოდელის აგება (გაგრძელება გვ.2).



 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
www.justice.gov.ge

 იუსტიციის სახლი
www.house.gov.ge

 სამოქალაქო რწმუნაობა
www.cra.gov.ge

 სახელმწიფო ადმინისტრაციის რეფორმის ეროვნული სააგენტო
www.napr.gov.ge

 საქართველოს არქივები
www.archives.gov.ge


www.nbe.gov.ge

 საქართველოს ნოტარიუსთა კამერა
www.notary.ge

 საქართველოს საკანონმდებლო პალატა
www.matse.gov.ge

 ელექტრონული აუქციონი
www.eauction.ge

 საქართველოს საგარეო საგადასახადო სამსახური
www.rs.ge

 თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1)

ამან საშუალება მოგვცა შეგვექმნა ვებპორტალი - ერთ ონლაინ რესურსში თავმოყრილი სახელმწიფო ელექტრონული სერვისების მოძიებისა და გამოყენების შესაძლებლობა. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის გამართვის პარალელურად საქართველოში ელექტრონული ID ბარათები დაინერგა.

ID ბარათის გამოყენება ყველაზე ეფექტურად მოქალაქის პორტალზე my.gov.ge არის შესაძლებელი. ID ბარათის გამოყენებით მოქალაქე დისტანციურად, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად რამდენიმე მარტივი კომბინაციის განხორციელებით მიიღებს სხვადასხვა სახის მომსახურებას - იქნება ეს პიროვნებასთან (პასპორტი, სხვადასხვა სახის მოწმობები, გვართან დაკავშირებული საინტერესო ინფორმაცია), ქონებასთან, სოციალურ მომსახურებასთან, ჯანდაცვასთან ან ბიზნესის წამოწყებასთან დაკავშირებული პროცედურები თუ კომუნალური, სხვადასხვა სახის ჯარიმებისა და სხვა გადასახდელების გადახდა.

„მოქალაქის პორტალის შექმნით ჩვენ უკვე ჩავდექით მსოფლიოს მოწინავე ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებულ ქვეყნების რიგში. ეს არის საუკეთესო საშუალება იმისთვის, რომ მაქსიმალურად გამარტივდეს მოქალაქეს, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა. ჩვენ მოქალაქის პორტალს ერთგვარად, ვირტუალური იუსტიციის სახლიც შევარქვით, რადგან აქაც ყველაფერი ერთ ვებგვერდზე ხდება. მომხმარებელი ID ბარათის მეშვეობით მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან შედის სისტემაში და ონლაინ რეჟიმში იღებს ყველა სერვისს“, - გიორგი ვაშაძე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე.

'კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება' დაფუძნდა



10 მაისს, ქ. ყვარელში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში „კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაფუძნების დოკუმენტი გაფორმდა.

საზოგადოების დაფუძნებას დაესწრნენ საზოგადო მოღვაწეები, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, აგრეთვე - ბიზნეს წრეების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ერთ-ერთი პირველი მოქალაქე, ვინც „კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების“ სადამფუძნებლო დეკლარაციას ხელი მოაწერა, იყო საქართველოს

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

თანამედროვე სამყაროში კომპიუტერის ცოდნის გავრცელება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მე-19 საუკუნის მიწურულს წერა-კითხვის სწავლება და გავრცელება იყო. სწორედ ამიტომ, საფუძველი ეყრება კომპიუტერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას და იწყება ახალი პროექტის განხორციელება თანამედროვე ტექნოლოგიების გავრცელების, კომპიუტერული უნარ-ჩვევების ეკონომიკური საქმიანობისთვის მისი გამოყენებისა და სოფლებში განვითარების შეტანის მიზნით.

„კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას“ განაგებს კოლეგიური ორგანო, 5-დან 15 წევრამდე შემადგენლობის მმართველი საბჭო, რომელიც არჩევითია.

ქ. ყვარელში, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში „კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაფუძნების ღონისძიებაზე მოწვეულ თითოეულ სტუმარს საშუალება ჰქონდა ჩართულიყო აღნიშნულ პროექტში და გამხდარიყო ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის მონაწილე, დამფუძნებელი. პირველად საქართველოს ისტორიაში, სადამფუძნებლო დოკუმენტს ხელი მოეწერა ელექტრონულად, ID ბარათის გამოყენებით.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლებმა NATO-ს მიერ ორგანიზებული კურსის ფარგლებში ტრენინგები ჩაატარეს



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს წარმომადგენლებმა თურქეთში, ქ. ანკარაში ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის (NATO) პროგრამის - მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ფარგლებში გამართულ სატრენინგო კურსებში მიწვეული სპეციალისტების რანგში მიიღეს მონაწილეობა.

სატრენინგო კურსები ქ. ანკარაში მდებარე შუა აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის ინსტიტუტში 21 მაისიდან 1 ივნისამდე მიმდინარეობდა. ტრენინგის ძირითად მიზანს ავღანეთის საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებისთვის, სისტემური

ადმინისტრატორებისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტების გაცნობა და გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა.

ტრენინგების დროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა ავღანელი კოლეგებისთვის გააკეთეს პრეზენტაციები კიბერ უსაფრთხოების ძირითადი არსის შესახებ, ასევე ისაუბრეს კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თემების პოპულარიზაციის გზებზე, ვებ პორტალებისა და სერვერების დაცვის საშუალებების, კიბერ ინციდენტებთან მუშაობის ტექნიკისა და სხვა თემების შესახებ.

საქართველო, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო წარმოადგენდა, ტრენინგზე მიწვეულ იყო როგორც ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებში წარმატებული გამოცდილების მქონე ქვეყანა და ავღანეთში ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მისიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი.

ID-ბარათის ციფრული ხელმოწერის ფუნქციისა და ვებგვერდის პრეზენტაცია



დოკუმენტების ციფრული ხელმოწერა უკვე საქართველოშიც დაინერგა - ID-ბარათის ციფრული ხელმოწერის ფუნქციისა და ვებგვერდის პრეზენტაცია სასტუმრო „რედისონში“ გაიმართა.

ღონისძიება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ გახსნა, პრეზენტაციაში მონაწილეობდნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, აგრეთვე - ბიზნეს წრეების წარმომადგენლები.

პრეზენტაციაზე ციფრულ დოკუმენტებზე ერთი და მრავალი ხელმოწერის განხორციელების მიზნით შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტი წარმოადგინეს. მისი დახმარებით, ხელმოწერილი დოკუმენტის დანიშნულების ადგილამდე მისატანად, ორგანიზაციაში ფიზიკურად გამოცხადება აღარ იქნება საჭირო და საბუთის გადაგზავნა შესაძლებელი იქნება სახლიდან გაუსვლელად, სხვადასხვა ელექტრონული საშუალებით, მათ შორის ელექტრონული ფოსტითაც. იგივე შესაძლებლობა ექნებათ უცხო ქვეყნებში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც ID ბარათი გააჩნიათ. თუ ადამიანი იმყოფება საზღვარგარეთ და მას დასჭირდება, საქართველოში კონკრეტულ დოკუმენტზე ხელის მოწერა, მას შეეძლება მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, სახლიდან გაუსვლელად, დოკუმენტს მოაწეროს ხელი.

ID ბარათით განხორციელებული ხელმოწერა მაქსიმალურად დაცულია გაყალბებისგან. არსებობს უამრავი დამცავი მექანიზმი, რომლის დაზიანება შეუძლებელია.

CERT.GOV.GE CERT - ების ევროპული გაერთიანების „TRUSTEDINTRODUCER“-ის აკრედიტებული წევრი გახდა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფი (CERT.gov.ge) CERT-ების ევროპული გაერთიანების „Trusted Introducer“-ის აკრედიტებული წევრი გახდა. ამერიიდან Trusted Introducer-ის ვებ-გვერდზე <https://www.trusted-introducer.org/index.html> CERT.gov.ge ოფიციალურად რეგისტრირებულია ევროპული CERT-ების სიაში, რაც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის საერთაშორისო არენაზე აღიარების მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.


„მოხარულნი ვართ, რომ ისეთმა მნიშვნელოვანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, როგორცაა Trusted Introducer, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფს (CERT.gov.ge) აკრედიტებული წევრის სტატუსი მიანიჭა. Trusted Introducer-ის აკრედიტებული წევრობა CERT.gov.ge-ს საშუალებას მისცემს კიბერ უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით ურთიერთთანამშრომლობა დაამყაროს ევროპული ქვეყნების ანალოგიურ უწყებებთან, ხოლო, თავის მხრივ, უცხოური CERT-ებისთვის საქართველოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფი გახდება საკონტაქტო უწყება სხვადასხვა სახის კიბერ ინციდენტების აღმოჩენის, მათი ანალიზისა და პრევენციისათვის ერთობლივი ღონისძიებების გასატარებლად.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლებმა კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების პროექტი სხვადასხვა სოფლების მაცხოვრებლებს გააცნეს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლებმა კახეთის, იმერეთისა და გურიის რეგიონის სოფლების მოსახლეობას კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების პროექტის ფარგლებში დეტალურად გააცნეს ყველა ის სერვისი, რომლით სარგებლობასაც ახლო მომავალში რაიონში მცხოვრებლები კომპიუტერისა და ინტერნეტის დახმარებით შეძლებენ.

პროექტი, პირველ ეტაპზე, მთელი საქართველოს მასშტაბით, 300 სოფელს მოიცავს. აქ მცხოვრებ ნებისმიერ მსურველს, ვისაც საშუალო განათლება აქვს, შეუძლია მიიღოს მონაწილეობა კონკურსში. ღია კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, ისინი უფასოდ მიიღებენ კომპიუტერს, ისარგებლებენ უსასყიდლო ტექნიკური მხარდაჭერით ერთი წლის განმავლობაში, გაივლიან სპეციალურ ტრენინგს და სტაჟირებას, შემდეგ კი ისინი თავიანთ თანასოფლელებს კომპიუტერის გამოყენების უნარ-ჩვევების ათვისებაში დაეხმარებიან.

საატესტატო გამოცდები ONLINE რეჟიმში ჩატარდა



საქართველოს მასშტაბით მე-12 კლასელთა საატესტატო გამოცდები თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით უკვე მეორედ ჩატარდა. 2011-2012 სასწავლო წლის გამოსაშვები გამოცდები 21 მაისს დილის 9 საათზე დაიწყო. საატესტატო გამოცდები ცენტრალიზებულად, ერთიანი მართვისა და კონტროლის პირობებში მიმდინარეობდა. გამოცდების ტექნიკურ უზრუნველყოფა სამინისტროს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ განახორციელა.

საატესტატო გამოცდები ე.წ. CAT-ის ტიპის საგამოცდო მოდელით ტარდება. CAT-ის სისტემა გულისხმობს ადაპტირებულ ტესტს

ორიენტირებულს მოსწავლის შესაძლებლობაზე. ასეთი ტესტირება მსოფლიოში კარგადაა აპრობირებული თუმცა, საქართველო პირველია, სადაც ასეთი მასშტაბური გამოცდა ცენტრალიზებულად მთელი საქართველოს მასშტაბით, ერთიანი მართვისა და კონტროლის პირობებში უკვე მეორე წელია ტარდება.

მონაცემთა გაცვლის სააგენტო საჯარო სექტორისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების ტრენინგს ჩაატარებს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლები ივნისის თვეში საჯარო სექტორის უწყებებისთვის 2 ტრენინგს ჩაატარებენ. ტრენინგი ორ ძირითადი მიმართულებას მოიცავს: 1) ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, დანერგვა და აუდიტი ორგანიზაციაში 2) კომპიუტერულ ინციდენტების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება.

პირველი კურსის მიზანია ორგანიზაციის პერსონალს გამოუმუშავდეს ინფორმაციული უსაფრთხოების რისკებთან შესაბამისი მოპყრობის უნარ-ჩვევები, განუმარტოს ინფორმაციული უსაფრთხოების დონეები, გააცნოს ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის პრინციპები და ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემები. ეს კურსი გამიზნულია ორგანიზაციის ზედა და საშუალო მენეჯმენტისთვის და ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერებისთვის. კურსი მნიშვნელოვანია ყველა ორგანიზაციისთვის, რომელიც თვლის რომ ინფორმაცია წარმოადგენს მის ძირითად აქტივს და ორგანიზაციაც შესაბამის ქმედებებს უნდა ახორციელებდეს, რათა უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მთლიანობა და უტყუარობა.

ტრენინგის მეორე კურსი - კომპიუტერულ ინციდენტების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება კი ორგანიზაციის პერსონალს მისცემს საბაზისო ცოდნას ინფორმაციული და კომპიუტერული ინციდენტების შესახებ, რათა მათ შეძლონ მათი იდენტიფიცირება, პირველადი კლასიფიცირება, სწრაფი რეაგირების გატარება და CERT.GOV.GE-სთვის ინციდენტის სრულყოფილად მოწოდება. ტრენინგის დროს მსმენელები ასევე გაეცნობიან CERT-ების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და ქსელის მონიტორინგის ინსტრუმენტებს. ტრენინგის მიზონობრივ აუდიტორიას წარმოადგენს ორგანიზაციების ი.ტ. ან/და რისკების მართვის სექტორში დასაქმებული შუა და მაღალი დონის მენეჯერები.

ტრენინგებს ჩაატარებენ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კვალიფიცირებული ტრენერები, რომლებიც ფლობენ შესაბამის ცოდნას და აქვთ ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.e-government.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 50
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ "Subscribe" ან დაარეგისტრირდით თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ "Unsubscribe".